# ხაშურის მოამბე

№13-14 (435,436) 8 აპრილი, ორშაბათი, 2024 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს კანონის ,,საბიუჯეტო კოდექსის'' გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას, შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

**თავი II მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და ანგარიშგება, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 დეკემბრის № 32 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 26 755.5 ათასი ლარის ოდენობით. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 44 730.54 ათასი ლარით, რაც 17 975.1 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს აღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ.გვერდზე khashuri.org.ge

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს 2023 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

**საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან**

**შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა**

**(ათას ლარებში)**

**ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის;**

მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 5968.0 ათასი ლარი. (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი- 4474.9 ათასი ლარი, დელეგირებული - 65.2 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 1427.9 ათასი ლარი). ხოლო წლის ბოლოსათვის - 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 7646.2 ათას ლარს (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი -6458.9 ათასი ლარი, დელეგირებული 191.4 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი -995.9 ათასი ლარი, 6764,27 ათასი ლარი (მიმართული ნაშთი 2024 წელში შეადგენს შეადგინა 6764,27 ათასი ლარი, აქედან ადგილობრივი ბიუჯეტი 6067,25 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტი 697,01 ათასი ლარი). 2022 წლიდან არსებული ვალდებულებებიდან რიგი ღონისძიებების დაფინანსებისათვის მიმართული ნაშთი 2023 წელს შეადგენს 4990,5 ათას ლარს, ამასთან გათვალისწინებულ იქნა საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი ,,მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება''.

2023 წელს ფულადი სახსრების (ნაშთის) გამოყენებამ შეადგინა 2532,9 ათასი ლარი (ვალდებულებების კლების გამოკლებით).

**ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ**

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 39 189.27 ათასი ლარით: ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 619.98 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101,09%.

**შემოსავლები**

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 39 096.27 ათასი ლარი, ფაქტიურად 39 520.19 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 101,08% და მთლიანი შემოსულობების გეგმის - 100,8 % შეადგინა.

**I გადასახადების სახით** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 25 254.74 ათასი ლარი და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 21 842.43 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3 412,31 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული1, მათ შორის:

**ქონების გადასახადიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4 219.54 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1 557.69 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 104.02 ათასი ლარი, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან 204.24 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადადიდან 790.77 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – საანგარიშო პერიოდში მიღებულია 3150,64 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1522,48 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 77,96 ათასი ლარი,სასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 182.94 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 763.07 ათასი ლარი) შედარებით 49,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 21035,2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 18 691.79 ათასი ლარი) შედარებით 2343,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

**II გრანტები**

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 9 676.19 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 870 766,29 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი – 8 804 846,0 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 620,0 ათასი ლარი.

III **სხვა შემოსავლები**

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 4 151.77 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 4 589.26 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 110.53%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 3029,1 ათასი ლარი) შედარებით 1122,67 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. მათ შორის:

**რენტის** სახით მობილიზებულია 332.828 ათასი ლარი,რაც გეგმის (322,0 ათასი ლარი) 103,3%-ია.

მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 328.65 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 4.17 ათასი ლარი.

**ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან** მიღებულია 244.80 ათასი ლარი, რაც გეგმის (262.10 ათასი ლარი) 93,39%-ია. მათ შორის:

**სანებართვო მოსაკრებლიდან** მთლიანობაში მიღებულია 71,20 ათასი ლარი, რაც გეგმის (61,70 ათასი ლარი) 115,39%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 71.19 ათასი ლარი.

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების** მოსაკრებლიდან მიღებულია 4.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (0.4 ათასი ლარი) 1200.0%-ია.

**დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 168.77 ათასი ლარი, რაც გეგმის (200.0 ათასი ლარი) 84.38%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 133.66 ათასი ლარი) შედარებით 35.11 ათასი ლარით მეტია1.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 38,05 ათასი ლარი, რაც გეგმის (40.0 ათასი ლარი) 95,12%-ია.

**სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** - მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 760,63 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (3 527,66 ათასი ლარი) 106.60%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 885,56 ათასი ლარი) შედარებით 1 875,072 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 3 559,59 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 17,30 ათასი ლარი, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობასა და ფინანსების დარგში - 44,31 ათასი ლარი, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო -40,17 ათასი ლარი და სხვა სანქციები ჯარიმები და საურავები 99,26 ათასი ლარი.

**ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** შემოსავლებიდან, საანგარიშო პერიოდში, მიღებულია 213,0 ათასი ლარი, მათ შორის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 17,50 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 185,72 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 9,73 ათასი ლარი.

IV არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 99,79 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის 93,0 ათასი ლარი და გეგმის 107%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 90,79 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 9,0 ათასი ლარი.

გადასახდელები

**ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ**

2023 წელს გადასახდელების 37941,84 ათასი ლარი, შესრულების 84,8%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (87,1%) 2,3%-ით მეტია, ხოლო თანხობრივად (2022 წელთან შედარებით) დახარჯულია 4483,4 ათასი ლარით მეტი.

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44 290,27 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 37 501,57 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84,67%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17 449,86 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16 190,76 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92,78%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 43,17%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 26 840,41 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 21 310,81 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79,39%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 56,82%ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 440,27 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 440,27 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100,0%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1,17%-ია.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

**„შრომის ანაზღაურების**” მუხლით, საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 842,88 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 779,70 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,77%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 7,41%-ია.

**„საქონელი და მომსახურების**” მუხლით, საანგარიშო პერიოდში, გეგმა განსაზღვრულ იქნა 2 677,14 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 298,60 ათასი ლარი, რაც გეგმის 85,86%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 6,12%-ია.

**,,პროცენტის”** მუხლით, საანგარიშო პერიოდში, გეგმა განისაზღვრა 364,78 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 362,09 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,26%-ს

(გაგრძელება II-XII გვ.)

შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0,96%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8 641,65 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8 379.,68 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,96%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 22,34%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 3 504,14 ათასი ლარი;

დასუფთავების ღონისძიებები - 1 125,52 ათასი ლარი;

შიდა გზების მოვლა-შენახვა 330,14 ათასი ლარი;

გამწვანების და მწვანე ნარგაობების (პარკები, სკვერები) მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 281,87 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებების და სპორტული სკოლების ხელშეწყობა - 1 092,74 ათასი ლარი.

წყლის სათავე ნაგებობის მოვლა-შენახვა - 127,37 ათასი ლარი;

გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 311,96 ათასი ლარი;

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - 61,27 ათასი ლარი;

კულტურული ღონისძიებების და კულტურის ცენტრების ხელშეწყობა - 609.94 ათასი ლარი;

სამუსიკო სკოლების ხელშეწყობა - 377.46 ათასი ლარი;

ბიბლიოთეკების ხელშეწყობა -203,53 ათასი ლარი;

მუზეუმების ხელშეწყობა - 249,78 ათასი ლარი;

საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა- 53,53 ათასი არი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიეები - 112,48 ათასი ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა 40,23 ათასი ლარი.

**„გრანტების”** მუხლით, საანგარიშო პერიოდში, გეგმა განისაზღვრა 228,82ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 228,82 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,0%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.61%-ს შეადგენს.

**„სოციალური უზრუნველყოფის”** მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 405,61 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 286,026 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,49%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3,42%-ს შეადგენს.

**„სოციალური უზრუნველყოფის“** მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები -1 197,51 ათასი ლარი;

მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 128,68 ათასი ლარი;

სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის სწავლის დაფინანსება - 43,8 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა1 288,98 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 855,86 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 87,98%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 66,39%-ია.

**„სხვა ხარჯების”** მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკანონმდებლო და აღმასრულებელი სქმიანობის უზრუნველუოფა - 67,26 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები - 32,63 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობა - 472,51 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგამების და რელიგიური ორგანიზაციების დაფინასენბა - 166,78 ათასი ლარი;

ჯანდაცვის სფეროში გაწეული მომსახურებები - 115,06 ათასი ლარი.

**,,არაფინანსური აქტივების ზრდა’’**

**არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:**

**ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4 622.23 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4 884.80 ათასი ლარი) 94.62%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 12.32%-ს შეადგენს. მათ შორის:

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 4 622.23 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 884.8 ათასი ლარი) 94.62%-ია;

ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 802.36 ათასი ლარი, რაც გეგმის (805.100 ლარი ) - 99,65%-ია;

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 21 900,5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 18 222,18 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83,20%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 48,59%. მათ შორის:

ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 12 154,04 ათასი ლარი, ანუ გეგმის
(13 492,0 ათასი ლარი) – 90,06%;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 039,63 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 015,6 ათასი ლარი) 67,15%-ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 2 471,2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 191,39 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88,67%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.84%. მათ შორის:

ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 2 191,39 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 471,2 ათასი ლარი) 88,67%-ია;

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 2 426,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 636,84 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 67,46%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4,36%. მათ შორის:

წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 620,84 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 130,1 ათასი ლარი) 54,95%-ს შეადგენს;

გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 1 015,84 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 296,0 ათასი ლარი) 78,38%-ს შეადგენს;

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 117.82 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 116,61 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.97%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0,30% მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 116.61 ათასი ლარი, ანუ გეგმის (117.82 ათასი ლარი) – 98.97%;

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 7 360.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 6 040.98 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 82.06%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 16.10%. მათ შორის:

მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა
1 102.82 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 106.0 ათასი ლარი) 99.71%;

მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 4 938.17 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 254.0 ათასი ლარი) 78.96%-ს შეადგენს;

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 3510.81 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 3 651.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.14% ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 9,36%. მათ შორის:

სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 3 507.48 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 646.9 ათასი ლარი) 96.17%-ს შეადგენს;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 3.33 ათასი ლარი, რაც გეგმის 4.6 ათასი ლარი) 72.39%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 620.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 431.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.32%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 3.81%. მათ შორის:

ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2.0 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 366.43 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 492.0 ათასი ლარი) 91.58%;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 63.17 ათასი ლარი, რაც გეგმის (126.9 ათასი ლარი) 49.77%-ს შეადგენს.

**სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან განხორციელდა თანხის გამოყოფა 3000 ლარის ოდენობით (2023 წლის 31 მაისის N84.842315113 ბრძანება) ქ. ხაშურში ძნელაძის ქუჩაზე საბიბლიოთეკო გაერთიანების ავარიული შენობის ჩამონგრეული ნაწილის გატანის და დაზიანებული სახურავის მოსახსნელად სპეც. ტექნიკის დაქირავების მიზნით. 3000 ათასი ლარი 2023 წლის 1 აგვისტოს (N84.84232132 ბრძანება). ქ. ხაშურში ბარათაშვილის ქუჩა N2-ში მცხოვრები ზაალ ძინძიბაძის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების მიზნით.

1549 ლარის ოდენობით 2023 წლის 3 აგვისტოს (N84.842322220 ბრძანება). 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების ზონაში მომუშავე მაშველების სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

500 ლარის ოდენობით 2023 წლის 17 აგვისტოს (N84.84232293 ბრძანება) . მრავალშვილიანი დედის თეონა დემურაშვილის (57801063806) სოციალური დახმარების მიზნით. სულ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 8049 ლარი.

**2023 წელს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გადახდილი თანხების შესახებ**

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული სახსრები**

2023 წელს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში გამოყოფილი იქნა 2.0 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 1,59 ათასი ლარი, რაც გეგმის 79,5%-ია, რაც სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში სააღსრულებლო ბიუროს საინკასო დავალებით, სახაზინო ანგარიშიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სახით იქნა ჩამოჭრილი (მოქალაქე თ. გრიგალაშვილის ზიანის ანაზღაურება 2007 წლიდან დაკისრებული გადასახადი).

მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულ იქნა ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე საკასო ხარჯი შეადგენს 0,05 ათას ლარს.

**მუნიციპალიტეტის სესხით მომსახურეობა და დაფარვა**

სესხების მომსახურება და დაფარვა სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) ხარჯებმა შეადგინა 362,09 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (364,80 ათასი ლარი) 99,26 %-ია. ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - ვალდებულებების კლების მუხლით კი გადახდილი ძირი შეადგენს 440,27 ათას ლარს რაც (გეგმის 440,30 ლარის )99,99% -ია.

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017-2018-2021-2022 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. კერძოდ

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაიფარა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, შევიძინეთ სპეც მანქანები. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 359.4 ათასი ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 198.31 ათასი ლარს, სულ -557.71 ათასი ლარს. სესხის გადახდა დაიწყო 2019 წლის ოქტომბერში და დასრულდება 2026 წლის აპრილში. 01.01.2023 წლის მდგომარეობით გადახდილი ძირი შეადგენს 179.70 ათასი ლარს, ხოლო პროცენტი 159.31 ათასი ლარს. სულ -339.01 ათასი ლარი, 2023 წელს განხორცელდა მიმდინარე გადასახადის ძირის 51.34 ათასი ლარის და პროცენტის 19.45 ათასი ლარის სულ 70.79 ათასი ლარის დაფარვა. 01.01.2024 წლის მდგომარეობით კი გადასახდელი ძირი შეადგენს 128.36 ათასი ლარს, ხოლო პროცენტი 22.48 ათასი ლარს, სულ -150.84 ათასი ლარი,

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ,,ქ. ხაშურში მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია’’. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 904,3 ათასი ლარს, აქედან, გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) -271,2 ათასი ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) 180,9 ათასი ლარი ანაზღაურებულია. სესხის მოცულობა კი შეადგენს (50%) 452,14 ათასი ლარს, ხოლო სესხის გადასახდელი პროცენტი - 282,18 ათასი ლარს. სულ -1186. 42 ათასი ლარი. გადახდა დაიწყო 2018 წლის დეკემბერში და დასრულდება 2027 წლის მაისში. 01.01. 2023 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 165.90 ათასი ლარს, ხოლო პროცენტი 205.74 ათასი ლარს სულ 371.65 ათასი ლარს. 2023 წელს განხოციელდა მიმდინარე გადასახადის ძირის 53.25 ათასი ლარის და პროცენტის 28.86 ათასი ლარის სულ 82,10 ათასი ლარის დაფარვა. 01,01,2024 წლის მგომარეობით კი გადასახდელი ძირი შეაგენს 232.99 ათასი ლარს, პროცენტი 47.59 ათასი ლარი. სულ გადასახდელია 280.58 ათასი ლარი.

3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წლის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში, განხორციელდა ,,ქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა’’. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 6443,2 ათასი ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) 1932,9 ათასი ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) 1288,6 ათასი ლარია, აქედან 2019-2020-2021 წლებში ანაზღაურებული იქნა თანახმად ხელშეკრულების და შეადგენს 1166,79 ათასი ლარს. სულ სესხის მოცულობა შეადგენს (50%) 3221,6 ათასი ლარს, რომლის გადახდაც გათვალისწინებულია გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2022 წლიდან. 01,07,2022 წლის

მდგომარეობით, სესხის ძირი 3164,24 ათასი ლარია, ხოლო პროცენტი- 1908,19 ათასი, სულ -5072,43 ათასი ლარი. გადახდა დაიწყო 2022 წლის ივლისში და დასრულდება 2029 წლის ივნისში. 01.01. 2023 წლის მდგომარეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სესხის ძირი გადახდილია 154,55 ათასი ლარი, პროცენტი გადახდილია 691,89 ათასი ლარი, სულ გადახდილი ძირი და პროცენტი -846,44 ათასი ლარი, 2023 წელს განხოციელდა მიმდინარე გადასახადის ძირის 335.68 ათასი ლარის და პროცენტის 314.48 ათასი ლარის სულ 650.16 ათასი ლარის დაფარვა. 01,01,2024 წლის მგომარეობით, გადასახდელი ძირი შეადგენს 2674,01 ათასი ლარი, პროცენტი 901,82 ათასი ლარია სულ გადასახდელია 3575,83 ათასი ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის გადასახდელი სასესხო ვალდებულებებიდან, 01.01. 2023 წლის მდგომარეობით, გადახდილი ძირი შეადგენს 500,15 ათასი ლარს, ხოლო პროცენტი 1021,92 ათასი ლარს სულ 1522,07 ათასი ლარს. 2023 წელს განხორციელდა მიმდინარე გადასახადის ძირის 440,27 ათასი ლარის და პროცენტის 362,78 ათასი ლარის სულ 803,06 ათასი ლარის დაფარვა. 01,01,2024 წლის მგომარეობით კი გადასახდელი ძირი შეაგენს 3975,79 ათას ლარს, პროცენტი 971,88 ათას ლარს. სულ გადასახდელია 4007,25 ათასი ლარი.

***შენიშვნა:** თანხის გადახდის დღისათვის, გადასახდელი დარიცხული საპროცენტო თანხა იცვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ამასთან გადასახდელი ძირითადი თანხა არ იცვლება, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდის დღის დადგომამდე.

**ხაშურის მუნიციპალტეტის გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები**

**საანგარიშო პერიოდში მიღებული გრანტები და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით**

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 24,48%-ს (9 676,2 ათას ლარს), ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე,

**სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების** განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 415,0 ათასი ლარი, მიღებულია – 415.0 ათასი ლარი. საკასო ხარჯი -250,0 ათასი ლარი. **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" **საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის იანვრის N2475** განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 6 505 676 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (სოფელ ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ ბრილში მისავლელი გზის მოასფალტება, ჩქაროსნული მაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის მოასფალტება და ქ.ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რებილიტაცია), დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე ახალ სასაფლაომდე გზის მოასფალტება. 2023 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 776,75 ათასი ლარი.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. 2023 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 776,75 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის N301 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 759 065 ლარი (სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).2023 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 638,42 ათასი ლარი.

ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 416,8 ლარი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. 2023 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 455,76 ათასი ლარი.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 სექტემბრის N1640 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 137,8 ლარი მუნიციპალიტეტებში დასახლებული ტერიტორიებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით, ნაგავმზიდი მანქანის შესასყიდად. 2023 წელს საკასო ხარჯმა შეადგინა 137,8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი, რომელიც მიმართულია ხაშურში ზემოსერის ტყე-პარკის რეაბილიტაციისთვის.

**მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით დაფინანსებული პრიორიტეტები:**

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 4 351,16 ათასი ლარით, რაც გეგმის (4 742,42 ათასი ლარი) 91,74%-ია;**

ინფრასტრუქტურა - 19 859,02ათასი ლარით, რაც გეგმის (24 326,59ათასი ლარი) 92,45%-ია;

განათლება - 3 510,80 ათასი ლარით, რაც გეგმის ( 3 654,52 ათასი ლარი) 96,15%-ია;

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი, რაც გეგმის - 6 040,98 ათასი ლარი , რაც გეგმის (7 360,02 ათასი ლარი) 82,08%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 548,20 ათასი ლარით, რაც გეგმის (1 738,72 ათასი ლარი) 89,05%-ია.

**II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი (პროგრამული კოდი 01 00)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ქვეპროგრამის კოდი 01 01 01) დასაფინანსებლად წლიურად მიმართული იქნა 3987,47 ათასი ლარი, რაც (წლიური გეგმის 4 353,49 ) ათასი ლარის 91,94%–ია; აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 681,93 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 157,33 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 63,45 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 11,58 ათასი ლარი.

მათ შორის სტანდარტული პერსონალური კომპიუტერ(ებ)ის კომპლექტის, სტანდარტული ლეპტოპის, მცირეფასიანი გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის (ქვეპროგრამის კოდი 01 01 02) დასაფინანსებლად წლიურად მიმართული იქნა 2 900,42 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 3 057,58 ათასი ლარის 94,86%–ია; აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 1 962,22 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 536,46 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 24,84 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 3,59 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 373,30 ათასი ლარი.

მათ შორის: სტანდარტული პერსონალური კომპიუტერ(ებ)ის კომპლექტის, სტანდარტული ლეპტოპის, პრინტერების, მცირეფასიანი გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენა მსუბუქი ავტომობილის, სოფელ ქვიშხეთში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, სოფელ წრომში ადმინისტრაციული შენობის (საბავშვო ბაღის) საერთო ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ( ქვეპროგრამის კოდი 01 01 03) დასაფინანსებლად წლიურად მიმართული იქნა 169,20 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 297,70 ათასი ლარის 56,84%–ია; აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 135,54 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 28,10 ათასი ლარი. სხვა ხარჯებზე - 219,07 ათასი ლარი.

განმარტება: პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი ათვისებულ იქნა საჭიროებიდან გამომდინარე.

მუნიციპალიტეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (ქვეპროგრამის კოდი 01 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,59 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 79,56%.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დადგენილ ვადებში დაფარვა - 1,59 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შედეგები:

მუნიციპალიტეტის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა განსაზღვრულ ვადებში.

**მუნიციპალური განვითარების ფონდი და სხვა ვალდებულებები პროგრამის აღწერა: (ქვეპროგრამის კოდი 01 02 03)**

პროგრამის განმახორციელებელი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 805,10 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 802,36 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99,66%.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების დადგენილ ვადებში საპროცენტო ხარჯების დაფარვა 362,09 ათასი ლარის, სესხის ძირი თანხის დაფარვა - 440,27 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შედეგები:

სასესხო ვადებულება დაფარულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

**პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში, განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობა, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 19 859,02ათასი ლარით, რაც გეგმის (24 326,59 ათასი ლარი) 86,28 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) დაფინანსებულია 12 154,04 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 13 492,00 ათასი ლარის 90 %-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 12 886,99 ათასი ლარი, დაფინანსდა - 11 781,30 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5 428,10 ათასი ლარი), რაც გეგმის 91,42%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეაბილიტირებული გზები და საგზაო ინფრასტრუქტურა. დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ გზებით სარგებლობა იქნება უსაფრთხო და კომფორტული. სულ სულ გზების ტექნიკური პარამეტრების 80%-მდე დაკმაყოფილდება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია.

სანგარიშო პერიოდში დაიგო – 19804 გრ/მ. ასფალტის საფარი, საანგარიშო პერიოდში შეკეთდა გზების (მიმდინარე და ორმოული), 4552 გრ/მ - ბეტონის გზა; მოიხრეშა – 7050 გრ/მ. გზის საფარი, შემდეგ მისამართებზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინასებით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური მოწყობა შემდეგ ლოკაციაზე: 1. სოფ. ბიჯნისამდე მისასვლელი გზის მოასფალტება, 2. სოფ. ურთხვაში მისასვლელი გზის მოასფალტება, 3. დაბა სურამში კიკნაძის ქუჩის მოასფალტება, 4. დაბა სურამში ლესელიძის ქუჩის მოასფალტება, 5. დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება, 6. სოფ. გომში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, 7. სოფ. ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, 8. სოფელ ყიფიანთუბანში გზის მოწყობა, 9. ხაშურის მუნიციპალიტეტში გზებზე ორმოულების სამუშაოების წარმოება 10. ქ. ხაშურში მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია, 11. სოფელ ახალუბანში მისასვლელი გზის მოასფალტება, 12. ქალაქ ხაშურში იმერეთის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, 13. ქალაქ ხაშურში პროფესიული სასწავლებლის კოლეჯი ,,ქართლი'' მიმდებარედ ბეტონის საფარის მოწყობის შესყიდვა, 14. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელებზე ლაითბოქსების მოწყობა 15. ქალაქ ხაშურში 20 მეტრიანი სადროშე ბოძის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა, 16. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების კაპიტალური ორმოული შეკეთების მეორე ეტაპი სამუშაოების შესყიდვა, 17. სოფელ გომში მე-2 ქუჩის გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა, 18. სოფელ მიწობში ცემენტო-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, 19. სოფელ სარმანიშვილისკარში წყალგამტარი ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ამასთან 2023 წელს დაგეგმილია და 2024 წელს მიმართულია ასიგნებები შემდეგი პროექტების განსახორციელებლად 1. სოფ. თაგვეთში გზის რეაბილიტაცია (მონაწილეობითი ბიუჯეტი), 2. სოფ. ცედანში გზის რეაბილიტაცია (მონაწილეობითი ბიუჯეტი), 3. გზების მოწყობა/რეაბილიტაცია - სოფლები: სარტყელა, ხალები, დამჩხეულა, 4. სოფ. წეღვერში გზის რეაბილიტაცია, 5. სოფელ ბულბულისციხის ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, 6. საგზაო სამუშაოებისათვის ექსკავატორ დამტვირთველის შესყიდვა.

დასრულდა 2022 წლიდან 2023 წელში გარდამავალი მრავალწლიანი პროექტები, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით (საქართველოს 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულება და 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულება) ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, კერძოდ 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ს. ცოცხნარამდე და ქემფრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება 2. ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება 3. სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტება 4. ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება 5. ჩქაროსნული ავტომაგისტრალიდან გაგარინის ქუჩამდე მისასვლელი გზის მოასფალტება პროექტი გარდამავალია, 6. სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტება, 7 სოფელ ნაცარგორაში მისასვლელი გზის

მოასფალტება 8 დაბა სურამში ლესელიძის ქუჩაზე (ახალ სასაფლაომდე მისასვლელი) გზის მოასფალტება.

ასევე მაღალმთიან რეგიონებში პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი ღონისძიებები 1. სოფელ ბულბულისციხემდე მისასვლელი გზის მოასფალტება (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 09 თებერვლის N301 განკარგულება) პროექტი გარდამავალია 2022 წლიდან 2023 წელში,

ასევე, ანაზღაურდა გასული და 2023 წლების დაგეგმილი და შესასრულებელი პროექტების სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული 2.5%''

შესრულებული სამუშაოებით გათვალისწინებულია მოსახლეობის უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება. აღნიშნული პროექტები შესაძლებელს გახდის რომ, მოსახლეობა გადაადგილდებოდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეექმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე, ხოლო სოფლები ერთმანეთს და ადმინისტრაციულ ცენტრს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 16 კილომეტრი შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 19625 პირდაპირი და 5000 არაპირდაპირი ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 3 კილომეტრი გზის დაგება, შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოები 4 000 პირდაპირი და 11 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი-გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები. ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 12 კილომეტრ გზას. მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 4 000 პირდაპირი და 11 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი.

შიდა გზების მოვლა პატრონობა (ქვეპროგრამის კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი"

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

**2023 წლის გეგმა 340,50 ათასი ლარი, დაფინანსდა - 330,14 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,96%-ია.**

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული და ადაპტირებულია შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ქალაქ ხაშურის და სოფლების ადგილობრივი მოსახლეები და დამსვენებლები საკურორტო სეზონზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: კერძოდ გზების მოვლა-შენახვა და განვითარება; ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია; ქალაქში და სოფელში ორმული შეკეთება; სოფლებში შიდასაუბნო გზების მოწესრიგება. ქ. ხაშურში ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, მოხრეშვა), შესაბამისად შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას, ასევე ქალაქის ქუჩების, დაბა სურამისა და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა. ა) დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ქალაქ ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან და შესაბამისი მოვლა-პატრონობა.

მოწესრიგებული და ადაპტირებულია შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ქალაქ ხაშურის და სოფლების ადგილობრივი მოსახლეები და დამსვენებლები საკურორტო სეზონზე.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გზებისა და ქუჩების საერთო რაოდენობა, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოვლა- პატრონობა უტრდებოდა 267,9 კმ გზას; მათ შორის ასფალტირებული გზა 125,9 კმ არასფალტირებული -95 კმ რეაბილიტირებული გზების რაოდენობა რეაბილიტირებული გზების რაოდენობა, თოვლის საფარისაგან გაწმენდილი გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდილი გზების რაოდენობა პროგრამის ფარგლებში 27 კმ

დაგეგმილი მაჩვენებელი -გზების ფართობი რაზედაც დაგეგმილია მოვლა-პატრონობა 416 550 მ2. გზებისა და ქუჩების საერთო რაოდენობა, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 40 კილომეტრიგზას; მათ შორის ასფალტირებული გზა 25 კმ არაასფალტირებული -37 კმ რეაბილიტირებული გზების რაოდენობა ბენეფიციარების რაოდენობა 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოები 4 000 პირდაპირი და 11 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი. თოვლის საფარისაგან გაწმენდილი გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდილი გზების

**თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება** (ქვეპროგრამის კოდი 02 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 264,51 ათასი ლარი, დაფინანსდა - 42,59 ათასი ლარით, რაც გეგმის 94,6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქ. ხაშურში და დაბა სურამში ქუჩებსა და გზებზე საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის, ასევე დამსვენებლებისათვის საკურორტო სეზონზე მეტი უსაფრთხოება და საგზაო მოძრაობის წესების დაცვა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისთვის ქალაქ ხაშურში ადგილობრივი საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებით მოძრაობის უსაფრთხოების მოწესრიგებისა და უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ისინი აფრთხილებენ საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სხვადასხვა სახიფათო უბნებთან მიახლოების შესახებ, ზღუდავენ ან კრძალავენ ქუჩებისა და გზების ცალკეულ უბნებზე ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობას, აწესრიგებენ გზაჯვარედინის, სავალი ნაწილების გადაკვეთისა და გზის ვიწრო უბნის გავლის თანმიმდევრობას, აზუსტებენ ძირითადი ნიშნების მოქმედების ზონას, დროს, მანძილს ობიექტამდე ან ზღუდავენ მათ მოქმედებას ნებას.

გზებზე და მოედნებზე, სხვადასხვა ლოკაციებზე საგზაო ნიშნების მოწყობა, ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების დახაზვა, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერისდასაგზაონიშნებისმოწყობა.გზებისრეაბილიტაციისპროცესშიგანხორციელდება პროექტით განსაზღვრული საგზაო ნიშნების მოწყობა და ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების დახაზვა (ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მონიშვნა, გზების გამყოფი ხაზების და გვერდულების დახაზვა და სხვა მონიშვნები). სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებში მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მშობლების და მასწავლებლების ფეხით უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები, შესაბამისი საგზაო ნიშნებით და დაიხაზება ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელები.ქალაქის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნებით და ჰორიზონტალური მონიშვნებით უზრუნველყოფილია ქუჩების საერთო სიგრძის 40%. სკოლების და ბაღების 60%-თან მოწყობილია სიჩარის შემზღუდავი ბარიერები.

ქ. ხაშურში და დაბა სურამში, ქუჩებსა და გზებზე, საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის, მოეწყო საგზაო ნიშნების 899 რაოდენობა ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების ფართობი 3924 კვ/მ, სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური უსწორმასწორობის სიგრძე 375 გრ/მ, ასევე დამსვენებლებისათვის საკურორტო სეზონზე ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა და ხელშეწყობილია ფეხით მოსიარულეთა და ავტოტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება მეტი უსაფრთხოება და საგზაო მოძრაობის წესების დაცვა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყობილი საგზაო ნიშნების რაოდენობა -267 ცალი, ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების ფართობი -3000 მ2. სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური უსწორმასწორობის სიგრძე -284 გრ/მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს მოეწყობილი საგზაო ნიშნების რაოდენობა 50 ცალი, ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების ფართობი -1000 მ2.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყობილი საგზაო ნიშნების რაოდენობა 160 ცალი, ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნების ფართობი 300 მ2.

განმარტება: პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან 200,0 ათასი ლარი მიმართული იყო ზოგადი ხედვის და ჭკვიანი კამერების შესაძენად, სატენდერო პროცედურების ვადა გადავიდა 2024 წელში, შესაბამისად, ვერ იქნა თვისებული ასიგნებები.

წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02) დაფინანსებულია 620,99 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 130,14 ათასი ლარის 54,95%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 02 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 809,56 ათასი ლარი, დაფინანსდა - 390,58 ათასი ლარით, რაც გეგმის 48,25%-ია.

განმარტება: პროექტი იტრიის დასახლებაში და ჩუმათელეთის დასახლებაში ჭაბურღილის ქსელის და სათავე ნაგებობის მოწყობა, რაც 2023 წლიდან 2024 წელში გარდამავალი პროექტია პირველი ეტაპის სამუშაოები გადავიდა 2024 წლს.

ქვეპროგრამის აღწერა:

წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით, მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა, ახლის მშენებლობა და ექსპლოატაცია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გამართული წყალმომარაგების სისტემა. გაუმჯობესებულია მოსახლეობისთვის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:**

ხაშურის მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში სოფლებში სასმელი წყლის ჭაბურღილების, სატუმბი სადგურების, სათავე ნაგებობების მიერ მოხმარებული ელექტო ენერგიის საფასურის ანაზღაურება, წყლის სისტემებისათვის მასალების შესყიდვა, 1. აზარმაში არსებული წყაროს განახლება/მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, 2. სოფელ ცოცხნარაში წყლის სისტემის მოწყობა, 3. სოფელ ურთხვაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ასევე დაიდო ხელშეკრულება 4. იტრიის დასახლებაში და ჩუმათელეთის დასახლებაში ჭაბურღილის ქსელის და სათავე ნაგებობის მოწყობა, რაც 2023 წლიდან 2024 წელში გარდამავალი პროექტია

შესაბამისად, მოგვარდება მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის რეგულარული მიწოდება; - მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებებს ექნება შეუფერხებელი წვდომა იღებდეს სასმელ წყალს; წყლის სისტემების ექსპლოტაცია იქნება უწყვეტ რეჟიმში, ასევე განხორციელდა წყლის ტუმბოების შეძენა. გაიზარდა დასახლებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია წყალმომარაგება სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, სასმელი წყლის გაუმჯობესებული ხარისხი, სასმელ წყალზე შეუფერხებელი წვდომა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%, სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია. 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 8 წყლის სათავე ნაგებობას;

2022 წელს, ქვეპროგრამის ფარგლებში, განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს დაახლოებით 3488 ბენეფიციარი. ასევე, დაბა სურამში-7375 ბენეფიციარი და 3000 დამსვენებელი საკრორტო სეზონზე, სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს. 2023 წელს წყალმომარაგების ქსელში აღმოიფხვრა 200 დაზიანება დასახლებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია წყალმომარაგება14068 (71%) ოჯახი/ მთლიან მოსახლეობასთან 15736 (80%) ოჯახი/ მთლიან მოსახლეობასთან

დაგეგმილი მაჩვენებელი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 100%-ია, სასმელი წყლის ხარისხი უნადა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებს, 2023 წელს პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 წყლის სათავე ნაგებობას; 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 წყლის სათავე ნაგებობას; 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს დაახლოებით 12000 ბენეფიციარი და 3000 დამსვენებელი.

მიღწეული მაჩვენებელი - სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%-ია, სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია. 2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს დაახლოებით 12000 ბენეფიციარი და 3000 დამსვენებელი 2023 წელს პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 წყლის სათავე ნაგებობას;

**განმარტება**

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომლისთისაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საფრანგეთის განვითარების სააგენტომ გააფორმეს ხელშეკრულება ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენის სამუშაოების დასაფინანსებლად. პროექტი, რომელსაც საფრანგეთის განვითარების სააგენტო, ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა აფინანსებს, ითვალისწინებს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების (ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხას) წყალმომარაგებისა და ხაშურის წყალარინების სისტემის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში, აშენდება 170 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი და რეაბილიტირდება და აშენდება 40 კმ წყალარინების ქსელი; აშენდება წყალმომარგების სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, გადამცემი ხაზები და სადისტრიბუციო ქსელები, ასევე, ჩატარდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის კოლექტორების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი, რომლის ნაცვლად აშენდება ახალი ნაგებობა. სამუშაოები 5 წელიწადში ეტაბობრივად დასრულდება. შედეგად, ქალაქ ხაშურსა და მიმდებარე დასახლებებში მცხოვრები დაახლოებით 44 000 ადამიანი ისარგებლებს უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული სისტემით.

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 02 01 03)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული

პირი , ა(ა)იპ ,,წყლის და გამწვანების კომპანია’’

2023 წლის გეგმა 129,0 ათასი ლარით, დაფინანსდა - 127,37 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,74%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: წყლის სათავე ნაგებობის სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა და უსაფრთხოება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:**

ა(ა)იპ ,,წყლის და გამწვანების კომპანია’’-ს მიერ ხორციელდება წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, წრომში სათავე ნაგებობის, წაღვლში სათავე ნაგებობის, ქვიშხეთში სათავე ნაგებობის, ალში სათავე ნაგებობის მოვლა-პატრონობა, ასევე ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობა, რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. ხორციელდება მიწოდებული წყლის ხარისხის კონტროლი (წლის განმავლობაში სინჯის აღება, სხვადასხვა ლოკაციაზე), დაზიანებების დროული აღმოფხვრა,მოსახლეობოს მომსახურება 24 საათიანი გრაფიკით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოიფხვრება ყველა დაზიანება, შემოწმდება წყლის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასმელი წყლის გაუსნებოვნება, ასევე სარწყავი წყლის სისტემების ჭაბურღილების მონიტორინგი, ოპერატიულად აღმოიფხვრება ყველა დაზიანება. წყალარინების ქსელის მონიტორინგი, დაზიანებების ოპერატიულად აღმოფხვრა, კეთილმოეწყობა გამწმენდი ნაგებობის გარე პერიმეტრი, ასევე სამსახურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობა, მასში განთავსებული ტუმბოები და სხვადასხვა აგრეგატები.

წყლის სათავე ნაგებობის სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა და უსაფრთხოება.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს წყალსადენების რაოდენობა რომლის მოვლა-პატრონობაც ხდება 8 ერთეული წყალსადენი, დადგენილი გრაფიკის შესაბამისად სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს, ბენეფიციართა რაოდენობა -12005

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს წყალსადენების რაოდენობა რომლის მოვლა-პატრონობაც ხდება 9 ერთეული დადგენილი გრაფიკის შესაბამისად სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს ბენეფიციართა რაოდენობა -12005.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს, წყალსადენების რაოდენობა, რომლის მოვლა-პატრონობაც ხდება -8 ერთეული დადგენილი გრაფიკის შესაბამისად სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, -10863 (დაბა სურამი რკინის წყლის რეაბილიტაცია) სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს.

საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 191,58 ათასი ლარი, დაფინანსდა - 103,03 ათასი ლარით, რაც გეგმის 53,78 %-ია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია მოწყობა და არსებული დაზიანებების აღმოფხვრა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ხაშურის მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული წყალკანალიზაციის და სანიაღვრე სისტემა და აღმოფხვრილი დაზიანებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: კაპიტალურად რეაბილიტირებული სანიაღვრე არხის საერთო სიგრძე (გრძ/მ)რეაბილიტირებული/მოწყობილი საკანალიზაციო ქსელის სიგრძე (გრძ/მ)

ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია მოწყობა და არსებული დაზიანებების აღმოფხვრა, კერძოდ, თვითმმართველობის ტერიტორიაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამში, ამაღლების ქუჩაზე, გვერდისუბნის დასახლებაში, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია, ქალაქ ხაშურში წმ. ნინოს ქუჩის მე-3 ჩიხში საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, სანიაღვრე არხების მოწყობა/რებილიტაცია სოფელ ალში და ბრილში სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფელ ვაყის ტერიტორიაზე 2022 წლიდან გარდამავალი პროექტი, სანიაღვრე არხების მოწყობა და რეაბილიტაცია დაბა სურამში და სოფელ ტკოცაში.

განმარტება: პროგრამების მიხედვით, დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან 80,0 ათასი ლარი მიმართული იყო სანიაღვრე არხების მოსაწყობად დაბა სურამში და სოფელ ტკოცაში. სატენდერო პროცედურების ვადა გადავიდა 2024 წელში, შესაბამისად, ვერ იქნა თვისებული ასიგნებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს კაპიტალურად რეაბილიტირებული სანიაღვრე არხის საერთო სიგრძე (გრძ/მ)რეაბილიტირებული/მოწყობილი საკანალიზაციო ქსელის სიგრძე (გრძ/მ)

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს კაპიტალურად რეაბილიტირებული იქნება სანიაღვრე არხის საერთო სიგრძე (500გრძ/მ)რეაბილიტირებული/მოწყობილი საკანალიზაციო ქსელის სიგრძე (გრძ/მ)

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს კაპიტალურად რეაბილიტირებული სანიაღვრე არხის საერთო სიგრძე (800გრძ/მ)რეაბილიტირებული/მოწყობილი საკანალიზაციო ქსელის სიგრძე (0გრძ/მ)

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპუატაცია და მოვლა პატრონობა (პროგრამული კოდი 02 03) დაფინანსებულია 1 015,83 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 295,98 ათასი ლარის 78,38 %-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 951,88 ათასი ლარი, დაფინანსდა - 703,87 ათასი ლარით, რაც გეგმის 73,95%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად, საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით ამ ეტაპზე 600,0 ათასი ლარი) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას, ასევე განხორციელდა გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ავტომანქანის ამწე კალათის შეძენა, ქ. ხაშურში და დაბა სურამში ციხეზე და ცენტრალური მოედნზე და ფასადებზე დეკორატიული განათების მოწყობა, გარე განათების ქსელზე მრიცხველების მიერთების საფასურის ანაზღაურება, ქუჩების განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯები მოიცავს შემდეგი სახის ძირითად მომსახურეობას: კონტროლს ელექტრო ენერგიის ხარჯვაზე 1) უბნებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ჩვენებების მონაცემთა მონიტორინგი და შესაბამისად ელექტროენერგიის ხარჯვის დადასტურება, დახარჯული ელექტროენერგიის ეფექტურობისა და ხარჯვის კონტროლი. 2) დეკადური ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, აქვს თუ არა ადგილი სისტემიდან ელექტროენერგიის დატაცებას და ყოველი ასეთი ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სამსახურებთან ერთად მისი ლიკვიდაცია, ასევე გარე განათებისათვის ამწე კალათის შესყიდვა

განმარტება: პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან 232,0 ათასი ლარი მიმართული იყო გარე განათებისათვის ამწე კალათის შესაძენად სატენდერო პროცედურების ვადა გადავიდა 2024 წელში, შესაბამისად ვერ იქნა თვისებული ასიგნებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მდგრადი გარე განათების სისტემით უზრუნველყოფილი მოსახლეობა -90%, გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებით კმაყოფილი მოსახლეობა 100%. შეკეთებული (გამოცვლილი) სანათი წერტილების რაოდენობა, განათების ბოძების რაოდენობა და სადენების სიგრძე 2022 წელს გახორციელდა 5620 ცალი დიოდური ნათურის შეკეთება და გამოცვლა, განხორციელდა ელექტრო სადენის 2586 გრ/მ, ელ ამომრთველის, 16 ცალის, პროჟექტორის -46 ცალის ელექტრო ვაზნის, 79- ელექტრო გამშვების, 11 -ელექტრო ავტომატის, 7 ცალის ამოცვლა.

2022 წელს ფინანსდებოდა 23 ჭაბურღილის და არტეზიული ჭის წყლის ტუმბო.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს მდგრადი გარე განათების სისტემით უზრუნველყოფილი მოსახლეობა 100%, გარე განათების სისტემის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებით კმაყოფილი მოსახლეობა -100%.

გარე განათების სისტემების მოვლა პატრონობა (ქვეპროგრამის კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ,,ხაშურსერვისი“

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 344,10 ათასი ლარი, დაფინანსდა - 311,96 ათასი ლარით, რაც გეგმის 90,66%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში გარე და დეკორატიული განათება შეუფერხებლად ფუნქციონირებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გარე განათების ლამპიონების რაოდენობა -11581 ცალი. შეკეთებული გარე განათების წერტების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში 11218 სანათი წერტილი

შეკეთებული (გამოცვლილი) სანათი წერტილების რაოდენობა, განათების ბოძების რაოდენობა და სადენების სიგრძე 2022 წელს გახორციელდა 5620 ცალი დიოდური ნათურის ამოცვლა შეკეთება და გამოცვლა, განხორციელდა ელექტრო სადენის 2586 გრ/მ ამოცვლა, ელ ამომრთველის 16 ცალის პროჟექტორის 46 ცალის ელექტრო ვაზნის 79 ელექტრო გამშვების 11 ელექტრო ავტომატის 7 ამოცვლა

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს გარე განათების ლამპიონების რაოდენობა 11821 სანათი (მათ შორის ს LED სანათების რაოდენობა 5000) გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში 11821 სანათი წერტილი

შეკეთებული (გამოცვლილი) სანათი წერტილების რაოდენობა, 2023 წლის განმავლობაში 5700 ცალი დიოდური ნათურის ამოცვლა შეკეთება და გამოცვლა, განხორციელდა ელექტრო სადენის 3000 გრ/მ ამოცვლა, ელ ამომრთველის 20 ცალის პროჟექტორის 50 ცალის ელექტრო ვაზნის 79 ელექტრო გამშვების 11 ელექტრო ავტომატის 7 ამოცვლა

გარე განათების ქსელის სიგრძე რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში გარე განათების ბოძების საერთო რაოდენობა( სულ ბოძები 9426. მ.შ.ეპ-ჯორჯიას 1599, მუნიციპალიტეტის-7867)

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს გახორციელდა გარე განათების ლამპიონების რაოდენობა 11821 სანათი (მათ შორის ს LED სანათების რაოდენობა 5000) გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში 11821 სანათი წერტილი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 04) დაფინანსებულია 472,51 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 625,75 ათასი ლარი 75,51 %-ი)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინასებით განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები შემდეგ ლოკაციაზე: 2022 წლის გეგმა 199,47 ათასი ლარი, დაფინანსდა - 155,61 ათასი ლარით, რაც გეგმის 78,0 %-ია.

ქალაქ ხაშურში, თავდადებულის ქუჩა N2-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ქ. ხაშურში, მინისტარას დასახლებაში ბინა N10 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქ. ხაშურში, მინისტარას დასახლებაში, ბინა N6, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა N43-ში (ბმა „ერთობა“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის №101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ქალაქ ხაშურში, ოქტომბრის №101-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის და სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის N8-ში ბმა ,,ჩვენი ეზო”-ს ღობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქუჩა N86-ში (ბმა „იმედი“) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის შესყიდვა, ქ.ხაშურში გორგასალის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების მოწყობის სამუშაოები

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო, რეაბილიტირებული შენობები გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმა, ამხანაგობების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა — მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანება, შექმნილი საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციისა და განვითარების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამის შესაბამისად მუნიციპალიტეტის კერძოდ შუშის ქარხნის დასახლებაში მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამიის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებები. ბიუჯეტით გათვალისწინებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელსემწყობ პროგრამით ამხანაგობა აწარმოებს ბინათმესაკუთრეთა აღრიცხვის ჟურნალს ამხანაგობა წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განმცხადებელი ამხანაგობის შესახებ და პრობლემის არსს, რომლის გადაჭრისკენაც არის მიმართული ამხანაგობის განცხადება. ასევე ბინების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანამონაწილეობით (1.0 %) ურბანული ფურნიტურით მოწყობილი ეზოების რაოდენობა და განახლებული ინფრასტრუქტურა 30%, 2022 წელს განხორციელდა ერთი სახურავის და ერთი ფასადი სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს განხორციელდება ორი ბინის ფასადის, ორი ბინის სახურავის რეაბილიტაცია, ბინების 40%

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა ოთხი საცხოვრებელი ბინის სახურავის რეაბილიტაცია, ერთი ფასადი.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05) დაფინანსებულია 2 157,16 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3 257,73 ათასი ლარის 66,22 %-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების და სპორტული მოედნების მოწყობა (ქვეპროგრამის კოდი 02 05 01 01)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 1 455,97 ათასი ლარი, დაფინანსდა - 886,83ათასი ლარით, რაც გეგმის 60,91 %-ია.

განმარტება:პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან იყო 170,0 ათასი ლარი მიმართული დაბა სურამში ბაიანთხევის დასახლებაში სტადიონის მოსაწყობად, ასევე, სოფელ ქემფერში მინისტადიონის მოსაწყობაად 100,0 ათასი ლარი, სატენდერო პროცედურების ვადა გადავიდა 2024 წელში, შესაბამისად ვერ იქნა თვისებული ასიგნებები, ამასთან სოფ. ტეზერში სტადიონის მოწყობა, ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის მოწყობა, ხაშურში გორგასლის ქუჩაზე ე.წ. რუსების სტადიონის რეაბილიტაციის, პოექტებზე მომწოდებელმა მიწოდების ვადებში ვერ აითვისა პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტი გარდამავალია 2024 წელში.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის მოსახლოებისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო გარემო, სივრცე ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:**

ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ მოეწყობა ე.წ მინი სტადიონები ტრენაჟორები ქალაქ ხაშურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების და გარე ტრენაჟორების მოწყობა რეაბილიტაცია, სოფელ ცხრამუხაში სკოლის მიმდებარედ სტადიონის მოწყობა მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფარგლებში, სოფელ ვაყაში და სოფელ ურთხვაში მინი სტადიონების მოწყობა თანხით, დაბა სურამში, სარაჯიშვილის ქუჩაზე, მინისტადიონის მოწყობა ზემო ოსიაურში მინი სტადიონის მოწყობა, ქ. ხაურში თავდადებულის ქ-ზე არსებული სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფ. ტეზერში სტადიონის მოწყობა, ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის მოწყობა, ხაშურში გორგასლის ქუჩაზე ე.წ. რუსების სტადიონის რეაბილიტაცია, დაბა სურამში ,26 მაისის ქუჩაზე, მინისტადიონის მოწყობა, სოფელ ქემფერში მინისტადიონის მოწყობა, დაბა სურამში, ბაიანთხევის დასახლებაში სტადიონის მოწყობა შესაბამისად მუნიციპალიტეტის მოსახლოებისათვის მოწესრიგებულია, სუფთა და უსაფრთხო გარემო, სივრცე ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80% 2022 წელს მოეწყო 17 სტადიონი (20%)

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული -7 სტადიონი (30%). სტადიონების მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული სტადიონების რაოდენობა 5, განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80%.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 05 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 1 524,88 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1 002,80 ათასი ლარით, რაც გეგმის 65,76 %-ია.

განმარტება:პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან იყო 136,00 ათასი ლარი მიმართული იყო შემდგომ ობიექტებზე: სოფ. წაღვლში სკვერის მოწყობა (მონაწილეობითი ბიუჯეტი), ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში და დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა 48,4 ათასი ლარი, ქალაქ ხაშურში, ქიმერიძეების უბანში, ატრაქციონების და სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა 44,3 ათასი ლარი, სატენდერო პროცედურების ვადა გადავიდა 2024 წელში, შესაბამისად ვერ იქნა თვისებული ასიგნებები, ამასთან სოფ. ტეზერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, ქ. ხაშურში, ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, პოექტებზე მომწოდებელმა მიწოდების ვადებში ვერ აითვისა პირველი ეტაპის სამუშაოები, პროექტი გარდამავალია 2024 წელში.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში რეაბილიტირებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორია მუნიციპალიტეტის მოსახლოებისათვის მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:**

ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტარციული და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/ მშენებლობა, ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/ მშენებლობა, კერძოდ დაბა სურამში, მშვიდობის ქუჩის ბოლოს ყოფილი საკირის ტერიტორიაზე სკვერის და ტრენაჟორების მოწყობა, მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფარგლებში. ქ.ხაშურში ფარნავაზის ქუჩაზე სკვერის მოწყობა 2022 წლიდან გარდამავალი პროექტი, ასევე ზემო ოსიაურში ატრაქციონების მოწყობა, ქალაქ ხაშურში თამარ მეფის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ქალაქ ხაშურში თამარ მეფის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, ქ. ხაშურში ტურისტულის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, დაბა სურამში გვერდისუბნის დასახლებაში ამაღლების ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ქალაქ ხაშურში პუშკინის სკვერის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვა, სოფ. წაღვლში სკვერის მოწყობა (მონაწილეობითი ბიუჯეტი), საბავშვო ატრაქციონების მოწყობა ქიმერიძეების უბანი, ქალაქ ხაშურში, შინდარის დასახლებაში და დაბა სურამში, ბუღაურის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული სკვერების და პარკების განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80% 2022 წელს მოეწყო 10 სკვერი (20%)

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული სკვერების და პარკების რაოდენობა 10, განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80% 2023 წელს მოეწყობა 3 სკვერი (30%).

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს მოწყობილი-რეაბილიტირებული სკვერების და პარკების -4 , განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80%.

**ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (ქვეპროგრამის კოდი 02 05 01 03)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 20140 ათასი ლარი, დაფინანსდა - 195,40 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,02%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის მოსახლოებისათვის ვიზუალურად ესტეტიკური გრემოს შექმნა მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი და გასართობი სივრცე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების სადღესასწაულო დღეების დროს ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების და განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80%

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80%, გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებების რაოდენობა 2022 წელს მოეწყო 80 მ გირლიანდების და 6300 მ მანათობელი კედლის ბადე.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების განხორციელებული პროექტებით რაოდენობით კმაყოფილი მოსახლეობა 80%, 2022 წელს განხორციელდა შეძენა 160 მ გირლიანდების და 4800 მ მანათობელი კედლის ბადე15 კონსტრუქცია.

**სასაფლაობის მოწყობა და მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამის კოდი 02 05 01 04)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 75,47 ათასი ლარი, დაფინანსდა - 72,13 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,58 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შეთავაზებული სერვისების სახეობების და მოცულობის შესახებ მონაცემების 25%-ნი ზრდის მაჩვენებელი სათანადოდ დამოწმებული განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მონაცემები 2-ჯერ აღემატება მანამდე არსებულ მონაცემებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა ხორციელდება სასაფლაოების ბალახის საფარისაგან გაცელვა, ღობეების შეკეთება/ მოწყობა, აღნიშნიული წესით სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის (სტატუსის მინიჭების) შემდეგ საფლავების (სამარხების) ქაოტურად განთავსებისა და მოუხერხებელი გარემოს შექმნისაგან თავიდან აცილების მიზნით ხორციელდება სასაფლაოს დაგეგმარება, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი წესით დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობა შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების უკეთ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სასაფლაოები გაცელილი და შეწამლული ფართობი 600 მ2, შეკეთებული სასაფლაოების ღობეების სიგრძე- 150 მ2, მესაფლავეების მიერ მოვლილი, დაცული ტერიტორიის ფართობი 28663 მ2.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს სასაფლაოები გაცელილი და შეწამლული ფართობი, 600 მ2, შეკეთებული სასაფლაოების ღობეების სიგრძე -150 მ2, მესაფლავეების მიერ მოვლილი, დაცული ტერიტორიის ფართობი 28663 მ2

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს სასაფლაოები გაცელილი და შეწამლული ფართობი 600 მ2, შეკეთებული სასაფლაოების ღობეების სიგრძე 150 მ2, მესაფლავეების მიერ მოვლილი, დაცული ტერიტორიის ფართობი 28663 მ2.

**სოფლის პროგრამის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 02 06**) დაფინანსებულია 2 028,50 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2 392,89 ათასი ლარი -84,77 %-ი) .

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოფლად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული პროექტები და ცხოვრების დონის ამაღლება და მოსახლეობის სოფლად დამკვიდრება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება სოფლად მნიშვნელოვანი პროექტები სოფლის კრებების/კონსულტაციების ფონზე, სადაც მოსახლეობამ თავის სოფელში შემდეგი პროექტების განხორციელებას უნდა დაუჭიროს მხარი, იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) ქვეკომპონენტია, რომლის ფარგლებშიც, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საკეთილდღეოდ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, მოსახლეობა დასახლებების მიხედვით ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა -79 პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი -2023 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა . სულ განხორციელდა 79 პროექტი. თუმცა, რიგი პროექტები გარდამავალია 2024 წელში.

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 07) დაფინანსებულია 785.26 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 129.22 ათასი ლარი 69.54%-ი)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდერტებს) ხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, შეძენილი პროექტები ქვეპროგრამის ძირითადი მიმართულებები: ზედამხედველობა გაეწიოს პროექტების განხორციელებას, შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს, პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მომზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა -254 ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა -180 პროექტი. 2022 წელს შევიძენთ 30 პროექტს 2022 წელს ზედამხედველობა გაეწევა 94 პროექტს

დაგეგმილი მაჩვენებელი, 2023 წელს მომზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა 30, ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა- 94 პროექტი. 2023 წელს შევიძენთ 15 პროექტს 2023 წელს ზედამხედველობა გაეწევა -215 პროექტს.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს მომზადებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა 250, ჩატარებული ექსპერტიზების რაოდენობა 160 ერთეული.

განმარტება; პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან რიგი საზედამხედველო ობიექტების დასრულება ვერ მოხერხდა შესაბამისად ვერ გაეწია საზედამხედველო მომსახურეობა და შესაბამისად, არც თანხის ანაზღაურება მომხდარა, რიგი პროექტები მომზადებულ იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური და საზედამხედველო მომსახურეობა გაწეულ იქნა აღნიშნული სამსახურის მიერ.

**ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 08)** დაფინანსებულია 524.68 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 002.86 ათასი ლარი 53 %-ი)

განმარტება; პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანებს შორის სხვაობა აღემატება 30%-ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ დაგეგმილი ასიგნებებიდან შესყიდვის პროცედურებიდან გამომდინარე, სოფელ ქვიშხეთში მდ. შოლას ნაპირსამაგრი სამუშაოები, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ქ. ხაშურში, სატენდერო პროცედურების ვადა გადავიდა 2024 წელში, შესაბამისად, ვერ იქნა თვისებული ასიგნებები, ასევე, რიგი პროექტების შესრულება მიწოდების ვადაში ვერ განხორციელდა სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტიქიის პრევენცია. მოწყობილი გაბიონები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

სტიქიის პრევენცია. სოფ. ქვიშხეთში, ლაცაბიძეების საცხოვრებლის მიმდებარედ, ნაპირსამაგრი, დაბა სურამში მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე რუსიას ქუჩის მიმდებარედ L=307.0 მ) დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე, დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლების მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, დაბა სურამში მდინარე, სურამულას მარცხენა ნაპირზე, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ- L=260.0 მ დაზიანებული ნაპირსამაგრი/ნაპირდამცავი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა, სოფელ ქვიშხეთში, მდ. შოლას ნაპირსამაგრი სამუშაოები, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ქ. ხაშურში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გაბიონებით დაცული მოსახლეობის ოჯახების რაოდენობა 2000 ბენეფიციარი, ნაპირსამაგრი ჯებირების სიგრძე 8,7 კმ შეადგენს, კმაყოფილი მოსახლეობა მუნიციპალიტეტში მდინარის პირას მცხოვრები ოჯახების 100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს გაბიონებით დაცული მოსახლეობის ოჯახების რაოდენობა 2500 ბენეფიციარი ჯებირების სიგრძე 5 კმ.

ნაპირსამაგრი ჯებირების სიგრძე შეადგენს 510 გრ/მ-ს კმაყოფილი მოსახლეობა 150 ბენეფიციარიმუნიციპალიტეტში მდინარის პირას მცხოვრები ოჯახების 100%.

**3. პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)**

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 191.38 ათასი ლარით, რაც გეგმის (2 471.20 ათასი ლარი ) -88,68 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1 125,52 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მდინარეების წმენდას 20,47 ათასი ლარი, დასუფთავების სფეროში განხორციელდა 534,69 ათასი ლარის კაპიტალური დაბანდება, სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 281,87 ათასი ლარით, ხოლო უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობას მოხმარდა 228,82 ათასი ლარი.

სუბსიდია განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავებისათვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები. განხორციელდა ქალაქისა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა,

უპატრონო და მაწანწალა ცხოველების პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანებისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა იზოლირებული ცხოველების, მათ შორის, განსაკუთრებით აგრესიული მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება, მოსახლეობის მოთხოვნაზე რეაგირება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა

(პროგრამული კოდი 03 01) დაფინანსებულია 1 146,00 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებელი 1 243,97 ათასი ლარია 92,12 %-ი)

შემდეგ ქვეპროგრამებზე:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 1 223,50 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1 125,52 ათასი ლარით, რაც გეგმის 91,99 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უზრუნველყოფილია ქალაქსა და დაბაში საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა გაუმჯობესდება ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია. ქვეპროგრამის შედეგი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის და გარემოს დაცვის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.) მოედნებისა და ქუჩის ტროტუარების და სავალი ნაწილის დაგვა დასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე გ) დანალექი მასისაგან და სარეველა მცენარეებისაგან ტროტუარის კიდეების ბორდიურების და სავალი ნაწილის ნაწიბურის გასუფთავებისას წარმოქმნილი და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მოგროვილი მონახვეტი გადანაყარის გატანა ნაგავსაყრელზე დ) საავტომობილო ცენტრალური მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების ორივე მხარეს დასუფთავება გაწმენდა და მოგროვილი გადანაყარის სპეც ავტომანქანაზე დატვირთვა და ნაგავსაყრელზე გატანა მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურება და ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზე მდებარე ორგანიზაციების საწარმოების კულტურულ აღმზრდელობითი და სხვა დაწესებულებების კვების და სავაჭრო ობიექტების მიერ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საშუალოდ ყოველდღიურად გადის 255 მეტრ კუბი ნარჩენი, რაც ზაფხულის სეზონზე იზრდება 10-15%-ით, ყოველდღიურად ნარჩენებისგან დაცლილი კონტეინერების რაოდენობა გასულ პერიოდში საშუალოდ დღეში ხორციელდებოდა 796 ცალი. კონტეინერის დაცლა ხაშური -514, სურამი -122, სოფლები -160 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, დასუფთავებული დასახლებული ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა 2023 წელს ნარჩენების გატანა მოხდება 1 ქალაქიდან და 12 სოფლიდან (ტერიტორიული ერთეული) მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილი ნარჩენების რაოდენობა 2023 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საშუალოდ ყოველდღიურად გავა 260 მეტრ კუბი ნარჩენი. განხორციელდებოდა 742 ცალი კონტეინერის დაცლა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს არსებული მონაცემები მუნიციპალიტეტი ტერიტორიიდან ყოველდღიური გადის 270-280 მეტ/ კუბი ნარჩენი, რასაც ზაფხულის სეზონზე ემატებ ასევე 50მ/კუბი ნარჩენი, საშუალოდ, წელიწადში ხორციელდებოდა 742 ურნის გაცლა ცენტრალური ქუჩები იცლება დღეში 2-ჯერ ზაფხულის სეზონის პერიოდში სუფთავდება ცენტრალური მაგისტრალური გზის სანაპიროს 38 კილომეტრზე, 2023წელს ნარჩენების გატანა მოხდება 81 დასახლებული პუნქტიდან. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 41 რკინის ცალ დაზიანებულ ურნას.

**მდინარეების, არხების რეაბილიტაციისა და გაწმენდის ღონისძიებები**

(ქვეპროგრამის კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 20,47 ათასი ლარი, დაფინანსდა - 20,47 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროექტი ხელს შეუწყობს მდინარეების წყალგამტარიანობას და შესაბამისად, ადიდებული მდინარის საშიშროების პრობლემა მოიხსნება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი მდინარეების და არხების გაწმენდა, მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი სამუშაოებია, რაც სტიქიის პრევენციისთვის და ჰიგიენის ნორმების დაცვისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეალურად მდინარეების და არხის გამტარუნარიანობა პერიოდულად იზღუდა, რაც გამოწვეულია (სურამულა, შოლა, ბიჯნისულა, მტკვარი, ტილიანა, ფრონე, ჭერათხეულა) მდინარის კალაპოტში მიმდინარე, აკუმულაციის შედეგად, კალაპოტი ივსება მყარი ნატანით, ზოგიერთ მონაკვეთზე კალაპოტში ამოსულია ბუჩქნარი. ყველაფერი ეს ამცირებს კალაპოტის კვეთს, რაც, უხვი ნალექის დროს, ძლიერი წყალმოვარდნების და წყალდიდობების დროს, იწვევს წყლის ნაკადის გადმოსვლას ნაპირებიდან და ქალაქის, დაბის და სოფლების დასახლების მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების დატბორვას, პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა მდინარის კალაპოტის გაწმენდა–გაფართოება, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა. მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს სტიქიური პრევენციებისაგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2022 წელს სტიქიური პრევენციებისაგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს სტიქიური პრევენციებისაგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80%.

**დასუფთავებისათვის სპეცტექნიკის შეძენა (ქვეპროგრამის კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 691,69 ათასი ლარი, დაფინანსდა - 534,69 ათასი ლარით, რაც გეგმის 77,30 %-ია.

განმარტება

დაგეგმილი შუალედური გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავებული ტერიტორია უზრუნველყოფილია ქალაქი, დაბა და სოფლები საჭირო ტექნიკით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ხორციელდება თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა გატანის მომსახურების გაუმჯობესება და ხელშეწყობა, მათ შორის სანაგვე კონტეინერების შეძენა. მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შეძენილი კონტეინერების რაოდენობა -100 ცალი, (ავანსად ანაზღაურება) შემოტანილი ტექნიკა და საბოლოო ანგარიშსწორება 2023 წელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს შეძენილი კონტეინერების რაოდენობა -100 ცალი, (ავანსად ანაზღაურება) შემოტანილი ტექნიკა და საბოლოო ანგარიშსწორება 2024 წელს.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს შეძენილი კონტეინერების რაოდენობა 100 ცალი

მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების კეთილმოწყობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული

პირი ა(ა)იპ ,,წყლის და გამწვანების კომპანია'' (ქვეპროგრამის კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 306,70 ათასი ლარით, დაფინანსდა - 281,87 ათასი ლარით, რაც გეგმის 91,90%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შექმნილია ეკოლოგიურად სუფთა და ამორტიზირებული ხეებისგან დაცულია გარემო; სასმელი წყლის სისტემისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება.ქალაქის ატმოსფეროს გაუმჯობესება მწვანე საფარის, გაზონებისა და ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილნარების შენარჩუნება-გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესრულება. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობა, მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 35 ერთეული, 53050 ვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს მუნიციპალიტეტის გამწვანებული სივრცეების (პარკები, სკვერები) ფართობი, რომლის მოვლა-პატრონობა ხდებ ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანების ფართობი გაცელილი ტერიტორიის ფართობი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

დაგეგმილი მაჩვენებელი 2022 წელს. დაირგვება ყვავილების და მრავალწლიანი ნარგავების რაოდენობა 156 ძირი ნერგი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს გაიცელება 28663 კვ/მეტრი ფართი.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს მუნიციპალიტეტის გამწვანებული სივრცეების (პარკები, სკვერები) ფართობი, რომლის მოვლა-პატრონობა ხდება გათიბულია 40000 კვმ სკვერები და დასასვენებელი პარკები, ასევე, საბავშვო ბაღების ეზოები, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანების ფართობი შეადგენს 2000 კვადრატულ მეტრს. დარგული მრავალწლიანი მცენარეების რაოდენობამ შეადგინა 235 ძირმა.

**უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 03 05)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა(ა)იპ ,,მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო'')

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 228,83 ათასი ლარი, დაფინანსდა - 228,82 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,99 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დამიანებისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა იზოლირებული ცხოველების მათ შორის პირუტყვის რაოდენობა განსაკუთრებით აგრესიული მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება მოსახლეობის მოთხოვნაზე რეაგირების ვადა და შემოსული განცხადებების რაოდენობის შემცირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება მიუსაფარი შინაური ცხოველებთან ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა: შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით შინაური ცხოველების დაჭერა და დროებით თავშესაფარში განთავსება, მათზე სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა, ვაქცინაცია, ოპერაციების ჩატარება, სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობის მქონე ცხოველთა ევთანაზია

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა დღიურად 150 მაწანწალა იზოლირებული ოპერირებული ცხოველთა გადაყვანა მკურნალობა. ვაქცინირებული შინაური ცხოველების რაოდენობა 100 ერთეული, მიუსაფარი ცხოველების დაინტერესებულ პირებზე გაჩუქება ან მიკედლება- 50.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს განხორციელდება დღიურად 150 მაწანწალა იზოლირებული ოპერირებული ცხოველთა გადაყვანა მკურნალობა ვაქცინირებული შინაური ცხოველების რაოდენობა -100 ერთეული, მიუსაფარი ცხოველების დაინტერესებულ პირებზე გაჩუქება ან მიკედლება- 50.

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა დღიურად 150 (მ.შ ხაშური 28) მაწანწალა იზოლირებული ოპერირებული ცხოველთა გადაყვანა მკურნალობა. ვაქცინირებული შინაური ცხოველების რაოდენობა 100 (მ.შ. ხაშური -18) ერთეული, მიუსაფარი ცხოველების დაინტერესებულ პირებზე გაჩუქება ან მიკედლება- 30 (მ.შ ხაშური -7).

**პრიორიტეტი განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01) დაფინანსებულია 3 510,81 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3 651,51 ათასი ლარის 96,15 %-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება".

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 3 651,51 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3 510,81 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,18%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურეობის ხელმისაწვდომობა; მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა. 2022 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით სარგებლობს 1706 ბავშვი, ალტერნატიულ ბაღში -35 ბავშვი სულ -1741 ბავშვი (გოგო/ბიჭი).

2023 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 250 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს ბიჭი 52%; გოგო 48%.

სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე 5-6 წლის ბავშვების (სასკოლო) რაოდენობა2022 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 270 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს.

სრულად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების წილი საბავშვო ბაღების საერთო რაოდენობაში 2022 წელს, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 საბავშვო ბაღს (70% სრულად რეაბილიტირებულია).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება – საბავშვო ბაღების გაერთიანება". გაერთიანება მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს- №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14 15, №16, №17, №18 საბავშვო ბაღს და სამ ალტერნატიულ სააღმზრდელო ჯგუფს. მათ შორის ხაშურში განთავსებულია №1–№8 საბავშვო ბაღები, №9 -დაბა სურამში, №10 -სოფელ ცხრამუხაში, №11- სოფელ ალში, №12- სოფელ ოსიაურში, №13 -სოფელ გომში, №14 სოფელ ვაყაში, №15 სოფელ ქვიშხეთში, №16 -სოფელ წრომში, №17 -სოფელ ტეზერში, №18 -სოფელ სატივეში და გათვლილია 2 065 ბავშვზე; ადგილობრივი თვითმმართველობა ზრუნავს ბავშვთა კვებასა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის.ფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) ბაღის პროგრამები კომპლექსურია და მეთოდიკა სრულყოფილი და მოქნილი. ხოლო ბავშვები ეცნობიან გარემოს, სწავლობენ მეტყველებას აზროვნებას და ემზადებიან სასკოლოდ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა 2022 წელს: საბავშვო ბაღების მომსახურებით სარგებლობს 1706 ბავშვი, ალტერნატიულ ბაღში -35 ბავშვი, სულ -1741 ბავშვი (გოგო/ბიჭი)/.

დაგეგმილი მაჩვენებელი: 2023 წელს საბავშვო ბაღების მომსახურებით ისარგებლებს 2000 ბავშვი. 2023 წელს დაწყებითი განათლების მიღებისათვის მზად იქნება ყველა ის 250 აღსაზრდელი, რომელიც მიაღწევს სკოლის ასაკს ბიჭი -52%; გოგო -48%.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს სასკოლო მზაობის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა, აღსაზრდელთა რაოდენობა- 4-5 წლის- 312, . სტანდარტის შესაბამისი მზაობის მქონე პედაგოგები -25. მ

230(ბიჭი 52%; გოგო 48%)

30 აღმზრდელი

სულ მუნიციპალიტეტში ბაღით მოსარგებლე -62 % (ბიჭი 52%; გოგო -48%)

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 04 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 73,34 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,34 ათასი ლარით, რაც გეგმის 4,56 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობები და შექმნილია ადაპტირებული გარემო შშმ ბავშვთა ხელმისაწვდომობისთვის

განმარტება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები კერძოდ ვაყის საბავშვო ბაღის შემოღობვა, N6 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს წლის განმავლობაში რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა სტანდარტების შესაბამისად ადაპტირებული ერთი საბავშვო ბაღი, შშმ პირებზე ადაპტირებულია 9 საბავშვო ბაღი.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2022 წელს წლის განმავლობაში სარეაბილიტაციოა ერთი საბავშვო ბაღის სახურავი, ასევე ერთი საბავშვო ბაღის ღობე.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს წლის განმავლობაში. რეაბილიტირებულია ერთი საბავშვო ბაღის სახურავი, ასევე, ერთი საბავშვო ბაღის ღობე. რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა სტანდარტების შესაბამისად, ადაპტირებულია ერთი საბავშვო ბაღი, შშმ პირებზე ადაპტირებულია 9 საბავშვო ბაღი.

**საჯარო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 04 02)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 4,57 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,32 ათასი ლარით, რაც გეგმის 72,78 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროექტი ხელს შეუწყობს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას განათლების სფეროში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წელს წლის განმავლობაში რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა 32, ხოლო ადაპტირებული სკოლების რაოდენობა ორი- დანარჩენი ნაწილობრივ.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2022 წელს წლის განმავლობაში სარეაბილიტაციოა ერთი სკოლა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2022 წელს წლის რეაბილიტირებული სკოლების რაოდენობა ა ერთი სკოლის სველი წერტილები, რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა -32, ხოლო ადაპტირებული სკოლების რაოდენობა ორი, დანარჩენი -ნაწილობრივ.

**პრიორიტეტი კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) დაფინანსებულია 1 102,81 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1 105,94 ათასი ლარის 99,72 %-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 357,85 ათასი ლარი, დაფინანსდა - 357,31 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,85 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობის ზრდა სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწევების მქონე პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენა. პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას, ახალგაზრდა თაობის სწორ და ჯანსაღ განვითარებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ხელი შეეწყო ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის.ქ. ხაშურში ფუნქციონირებს შემდეგი ძირითადი სახეობები: ჭიდაობა ძიუდო (2 ჯგუფი), ჭიდაობა სამბო (2 ჯგუფი), თავისუფალი ჭიდაობა (5 ჯგუფი), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1 ჯგუფი), ქართული ჭიდაობა (3 ჯგუფი), ჭადრაკი (1 ჯგუფი), კალათბურთი (6 ჯგუფი), ფეხბურთი (15 ჯგუფი), ჩოგბურთი (1 ჯგუფი), ძალოსნობა (2 ჯგუფი), რაგბი (3 ჯგუფი), ბატუტზე ხტომა (2 ჯგუფი). დაბა სურამში: ძიუდო (1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), რაგბი (2 ჯგუფი). სოფლებში: სოფ. ვაყაში –ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. ალში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), ძიუდო (1 ჯგუფი), სოფ. გომში – ჭადრაკი

(1 ჯგუფი), ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ოსიაურში – ქართული ჭიდაობა (2 ჯგუფი), სოფ. ცხრამუხაში – ფეხბურთი (2 ჯგუფი), სოფ. ბროლოსანში – ჭიდაობა ძიუდო (1 ჯგუფი); სოფ. კლდისწყაროში– ძალოსნობა (1 ჯგუფი), სოფ. ფლევში – ფეხბურთი (1 ჯგუფი), სოფ. ქვიშხეთში – ფეხბურთი (1 ჯგუფი). ასევე საფეხბურთო გუნდი ,,ივერიის'' ფუნქციონირების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სკოლის მიერ ჩატარებული და გასვლითი სპორტული ღონიძიებების რაოდენობა, რომლებშიც სკოლის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა --- 2022 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 43 ღონისძიება, სულ 43 ბენეფიციარი (ქალი/კაცი 18/25) მათ შორის კაცი -80%, ქალი-20 %;

--- 2022 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 300 ღონისძიება. მონაწილეობდა სულ 750 (ქალი/კაცი 50/700) სპორტსმენი მათ შორის კაცი -80%, ქალი -20 %;

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს სკოლის მიერ ჩატარებული და გასვლითი სპორტული ღონიძიებების რაოდენობა, რომლებშიც სკოლის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა -- 2023 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სულ 50 (მათ შორის კაცი 80%, ქალი 20 %) ღონისძიება;

სპორტულ აქტივობებში ჩართული გუნდური (ფეხბურთი) ბენეფიციარების რაოდენობა (კაცი, ქალი) --2023 წელს პროგრამის ფარგლებში ჩართულია სულ 50 (მათ შორის კაცი 80%, ქალი 20 %);

სხვადასხვა დონის ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა (კაცი, ქალი) 2023 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სულ 320 ღონისძიება. სულ მონაწილეობას მიიღებს 770 სპორტსმენი, მათ შორის კაცი -80%, ქალი -20 %;

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს სკოლის მიერ ჩატარებული და გასვლითი სპორტული ღონიძიებების რაოდენობა, რომლებშიც სკოლის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა -- 2023 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სულ 335 (ქალი/კაცი 186/1234) ( ქალი 10 %, კაცი 90%,) ღონისძიება;

სპორტულ აქტივობებში ჩართული გუნდური (ფეხბურთი) ბენეფიციარების რაოდენობა (კაცი, ქალი) --2023 წელს პროგრამის ფარგლებში ჩართულია სულ 50 (კაცი 80%, ქალი 20 %);

სხვადასხვა დონის ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა (კაცი, ქალი) 2023 წელს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სულ 335 ღონისძიება, სულ მონაწილეობას მიიღებს 770 სპორტსმენი ( კაცი -80%, ქალი -20 %);

**სპორტული სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლა (ს/კ243916143)

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 735,45 ათასი ლარი, დაფინანსდა - 735,43 ათასი ლარით, რაც გეგმის 100,0 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. სკოლის მიერ ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; სპორტულ გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება; სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. შექმნილია თანაბარი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის'

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანებას, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობას, რაც იქნება ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და ფიზიკური სრულყოფის საფუძველი. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთი ქ. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზები, სადაც მიმდინარეობს სწავლება სპორტის 13 ძირითად სახეობაში. მეცადინეობები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სტადიონებზე და სპორტულ დარბაზებში. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი ,,სპორტის შესახებ", პროგრამის არსი: კომპლექსურ სასპორტო სკოლაში გაწევრიანებულია 1 360 ბავშვი. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, პირველ რიგში, მოზარდთა ფიზიკურ გაჯანსაღებას, მათი ქუჩისა და მავნე ჩვევებისაგან მოწყვეტას, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას ეროვნული ნაკრებებისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სპორტული წრეების რაოდენობა --- 2022 წელს პროგრამით ფუნქციონირებდა 13 წრე; მწვრთნელების რაოდენობა --- 2022 წელს პროგრამის ფარგლებში 55 (მათ შორის ქალი 4%); სპორტულ ტურნირებში მონაწილე მოწვეული და დაჯილდოებული ბენეფიციარები --- 2022 წელს პროგრამის ფარგლებში დაჯილდოვდა 61 ახალგაზრდა;

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს პროგრამით ფუნქციონირებს 13 წრე; მწვრთნელების რაოდენობა --- 2023 წელს პროგრამის ფარგლებში 55 (მათ შორის ქალი 4%); სპორტულ ტურნირებში მონაწილე მოწვეული და დაჯილდოებული ბენეფიციარები --- დაჯილდოვდება 24 ახალგაზრდა.

**სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 01 03)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ''ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 12,64 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,06 ათასი ლარით, რაც გეგმის 80 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სპორტული ობიექტით სარგებლობა, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს და შეუფერხებლად უმასპინძლოს გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

უზრუნველყოფილია გამართული სპორტული ობიექტების ფუნქციონირება ქ.ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული სასპორტო სკოლის საჭიდაო მოედნის იატაკის მოწყობა, ამავდროულად დასრულდება ქალაქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა მუნიციპალური თანადაფინანსება (20%), (მგფ-ის თანადაფინანსება, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი - ,,გრანტი'', რაც რეალურად მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივებს შეადგენს) და უზრუნველყოფს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნას დაგეგმილი მატჩებისათვის. მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული მოედნებით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები, ასევე მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია. ქ. ხაშურში „ივერიის" ცენტრალური სტადიონის ფუნქციონირებისათვის, რომლის გახსნაც მოხდა 2022 წელს შეძენილ იქნება ინვენტარი, მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპორტული ობიექტით სარგებლობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი უზრუნველყოფს შეუფერხებლად უმასპინძლოს გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოწყობილი, რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული 1 პროექტი და ინვენტარით აღჭურვა; 2022 წელს დარბაზმა უმასპინძლა ჭიდაობის 2ღონისძიებას.

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს მოწყობილი, რეაბილიტირებული სპორტული ობიექტები ინფრასტრუქტურული პროექტები აღჭურვილ იქნება ინვენტარით;

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული პროექტები და აღჭურვილია ინვენტარით.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02) დაფინანსებულია 4 294,71 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5 608,81 ათასი ლარის 76,57 %-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ243918070).

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 204,30 ათასი ლარი, დაფინანსდა - 199,03 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,42 %-ია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა, სახელოვნებო მიმართულებით სასწავლო დონის ამაღლება

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნა დღესასწაულების მიმართ. უცხო ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მათი წარმომადგენლების ინტერესის ზრდა ქართული კულტურის მიმართ. ქართული კულტურისა და ტრადიციების გაღრმავება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

განხორციელდა სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა. პროგრამის ძირითადი მიმართულებები: 3 მარტს–დედის დღის, 8 მარტს–ქალთა საერთაშორისო დღის, 9 აპრილს–ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის, 26 მაისს–საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები. სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება. ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში. განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებას და ჩართულობის გაზრდა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი -

2022 წელს სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა --- 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 64 ღონისძიება; სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიბებზე დამსწრეთა რაოდენობა -- 2022 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიბებს ჯამში დაესწრება არანაკლებ 20 სტუმარი და 4100 ადგილობრივი მაცხოვრებელი

დაგეგმილი მაჩვენებელი

2023 წელს დაიგეგმა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ღონისძიებების რაოდენობა --- 70 ღონისძიება; კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების მონაწილეთა სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიბებზე დამსწრეთა რაოდენობა2023 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებს ჯამში დაესწრება არანაკლებ 30 სტუმარი და 5000 ადგილობრივი მაცხოვრებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარდა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ღონისძიებების რაოდენობა --- 63 ღონისძიება; კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების მონაწილეთა სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიბებზე დამსწრეთა რაოდენობა ა 4800 ადგილობრივი მაცხოვრებელი

ცდომილების მაჩვენებელი 90% 96% არ აღინიშნა მასწავლებელთა დღე; ვეტერანთა დღე; არ შედგა უკრაინაში დელეგაციის სტუმრობა;

სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო დაწესებულებების – სამუსიკო სკოლების გაერთიანებას (ს/კ 443864267).

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 379,09 ათასი ლარი, დაფინანსდა - 377,46 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,57 %-ია.

დაგეგმილი შუალედური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირი სკოლისგარეშესახელოვნებო–საგანმანათლებლოდაწესებულებების–სამუსიკოსკოლების გაერთიანება. გაერთიანება მოიცავს სამ სტრუქტურულ ერთეულს: ხაშურის, სურამის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს. სასწავლო პროცესში ხელი შეეუწყოს ახალგაზრდა თაობის მუსიკალური განათლების მიღებას, ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს 2021 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა 100%-იან დაფინანსებას, სასწავლო და არასასწავლო პერიოდში. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების/ფესტივალების რაოდენობა--- 36, (ღონისძიებები 6, კონკურსი 30), სამუსიკო სკოლების ბენეფიციართა რაოდენობა ---478 (გოგო -340, ბიჭი -138; მოწვეული სტუმრების რაოდენობა--- 3 ვიზიტორი, სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა 69 (45/24 გოგო/ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს: იგეგმება სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების/ფესტივალების რაოდენობა:--- მოწყობილი ღონისძიებები/ფესტივალების რაოდენობის მაჩვენებელი -20 12/8 სამუსიკო სკოლების ბენეფიციართა რაოდენობა---485 (გოგო -340, ბიჭი -145); მოწვეული სტუმრების რაოდენობა--- 20; სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა 40 (20/20)).

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარდა სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების/ფესტივალების რაოდენობა--- 41 მ/შ მოწყობილი ღონისძიებები 25, კონკურსი -16; სამუსიკო სკოლების ბენეფიციართა რაოდენობა---478 (გოგო 350, ბიჭი 128); მოწვეული სტუმრების რაოდენობა--- 21; სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა 78 (51/ 27 გოგო/ბიჭი).

**ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03 02)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას (ს/კ243918098).

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 209.40 ათასი ლარი, დაფინანსდა - 203,53 ათასი ლარით, რაც გეგმის

97,20%-ია.

დაგეგმილი შუალედური მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ბიბლიოთეკებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, დაბა სურამში, სოფელ ხცისში და სოფელ ცხრამუხაში განთავსებული ბიბლიოთეკები. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება როგორც ადგილზე, ისე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით, საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმეციო ბაზისთვის, ელექტრონული მეთოდიკის შექმნა და წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარებული ღონისძიებების და ლიტერატურული შეხვედრების რაოდენობა- 37; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოცულობის ზრდა -912;

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს: ჩატარდება ღონისძიებების და ლიტერატურული შეხვედრების რაოდენობა 40; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოცულობის ზრდა 1000;

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარებული ღონისძიებების და ლიტერატურული შეხვედრების რაოდენობა -40; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მოცულობის ზრდა -1000;

**კულტურის ცენტრების, სკვერების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04 01)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა 2 973,29 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2 416,71 ათასი ლარით, რაც გეგმის 81,28 %-ია.

დაგეგმილი შუალედური მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო ფინანსების გაუმჯობესების რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 27.12.2021 N2374 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის #545 განკარგულება ,,საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ'' მოპოვებული გრანტი 400,0 ათასი ლარი და 620,0 ათასი ლარი, მიიმართა 1. ქალაქ ხაშურში ზემო სერის ტყე-პარკის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის ასევე განხორციელდა ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩის არსებული პარკის რეაბილიტაცია 3, ქალაქ ხაშურში ზემო სერის ტყე-პარკში სველი წერტილის და კაუჩუკის მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რითაც ისარგებლებს ხაშურის მოსახლეობა და ტურისტები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოწყობილი, რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული პროექტები: მიმდინარეობს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია

დაგეგმილი მაჩვენებელი 2023 წელს: მოწყობილი, რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მიღწეული მაჩვენებელი - 2023 წელს მოწყობილი, რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულებულია ქ. ხაშურსი ტაბიძის ქუჩის არსებული პარკის რეაბილიტაცია.

**განმარტება** ქალაქ ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის, პროექტი გარდამავლად გამოცხადდა 2024 წელში და შესაბამისად მიიმართა დაგეგმილი რესურსი.

**კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 04 02)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: '' ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება (ს/კ 243918070).

ქვეპროგრამის ფინანსური მაჩვენებელი:

2023 წლის გეგმა -411,26 ათასი ლარი, დაფინანსდა - 410,91 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,92 %-ია.

დაგეგმილია შუალედური ხელოვნების დარგების, აგრეთვე ქართული ფოლკლორის განვითარება და პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარება და ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდობის ჩამოშორება ქუჩის მავნე ჩვევებისაგან, მათი გემოვნების დახვეწა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

